

12949
ქ

იბლითოქა № 1.

ალ. ზარსიმაანიშვილი

გვირი ქალი, გათე

ყარაღად ნოდებული

(მე-18 საუკუნის საქართველოს
ისტორიიდან).



ქუთაისი.

სტამბა ა. ი. ჯონრეიძისა.

1915

წინასიტყვაობა.

დაენატრი იმათ, ვინც თვის სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა სხვერპლად...

პატრივტემულო შკითხველო!

ამ ჩემ წიგნაკში აწერილია ცხოვრება და ღვაწლი იმ შესანიშნავ გლეხი-ქალისა, რომელმაც მთელი თვისი ძალ-ღონე სხვერპლად შესწირა სამშობლო ქვეყანას. იგი მოქმედებდა მე-18 საუკუნეში, მაგრამ მდაბიო ხალხს, განსაკუთრებით ქართლში, დიდხანს კიდევ ახსოვდა ამ გმირი დიაცის სახელი; ან როგორ დაივიწყებდა გლეხობა იმას, ვინც სიკვდილამდე იყო მისი ნამღვილი დამცველი და კეთილის მყოფელი...

ჩემი წრფელი წადილია, გამოვიწვიო მკითხველთა შორის არა მარტო პატრივის-

VI

ცემა და თანაგრძნობა ამ გმირი ქალისად-
მი, არამედ ღრმა მოწიწება წინაპართა
დიდებულ აჩრდილთადმი საერთოდ.

ჩვენ არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ
ღვაწლი იმ წინაპრებისა, რომელთა უმან-
კო სისხლით მორწყულია თითქმის ყოვე-
ლი კუთხე ჩვენი ღვთის შიერ კურთხეუ-
ლი ივერიისა...

დიდი ხანია, რაც ისინი მოშორდენ ამ
მღელვარე წუთისოფელს და საუკუნო ძი-
ლით განისვენებენ იქ, საიდგანაც აღარა-
ვინ არ დაბრუნებულა. წინაპართა სული
კი ჩვენთან არის, ჩვენში ტრიალებს. ამი-
ტომ არ უნდა გავწყვიტოთ ის ძაფი, რო-
მელიც აერთებს თანამედროვე ქართველო-
ბას თავის წინაპრებთან. საჭიროა გვქონ-
დეს მათთან სულიერი კავშირი...

— რა საჭიროა სულიერი კავშირი ვი-
ქონიოთ მამა-პაპებთან, ესე იგი, მკვდრებ-
თან, როცა ჩვენ, ცოცხლებმა, ვერ მოვაწ-

ყეთ საერთო საქმე და ვერც მოვრიგებულ-
ვართ ერთი-ერთმანეთშიო?.. მეტყვის ზო-
გიერთი ჩემი მკითხველი.

ღიახ, ასეთი შენიშვნა პირველ შეხედ-
ვით თითქო საფუძველს არ არის მოკლე-
ბული...

მართლაც, ჯერ დავამყაროთ ჩვენ შო-
რის სულიერი კავშირი, შევქმნათ საზოგა-
დოებრივი ძალა და მერე მკვდრებიც, შე-
იძლება, მოვიგონოთ. საჭიროა შევიმუშა-
ვოთ საერთო იდეალი, საერთო უმაღლესი
მისწრაფება; მაგრამ საქმეც იმაშია, რომ
თანამედროვე ქართველს არა აქვს გათვა-
ლისწინებული საფუძლიანად თავისი იდე-
ალი; ჩვენცა სამწუხაროდ, კეთილი მომა-
ვალისაკენ მიმავალი გზა მას დაბნეული აქვს;
ის თითქო წინ მიისწრაფვის და ამავე დროს
ყოველ ნაბიჯზე კი ღობე-ყორეს ედება...

ჩვენ მუდამ გვავიწყდება ის ბრძნული
მცნება, რომელიც ნაყოფია მთელი კაცობ-

VIII

რიოისბ ხანგრძლივი გამოცდილებისა: „თუ გსურს გაიგო, როგორ უნდა იარო, ან საითკენ წახვიდე, საჭიროა უპირველეს ყოვლისა კარგად იცოდე, **საიდან მოხვედი და ან როგორ მოხვედი...**

ეს ბრძნული მცნება უნდა შევითვისოთ დედის ძუძუსთან ერთად, უნდა ღრმად შევიგნოთ და ცხოვრებაში გამოვიყენოთ.

ჩვენი წინაპრები, მშობლიურ ქვეყნისათვის წამებულნი, გაჰქრენ საუკუნეთა სივრცეში; მათი სხეული, ვით მიწა, მიწათვე იქცა. ისინი გარდაიცვალენ, მოკვდენ ხორციელად, სახელი კი მათი ჩვენ ხსოვნაში უნდა დარჩეს ცოცხალი, რადგან ჩვენ ვგრძნობთ მათ სულს; შემაკავშირებელი ძაფი ჩვენსა და მათ შორის ჯერ არ გაწყვეტილა, ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული...

ჩემის აზრით, ჩვენ, თანამედროენი, ზნეობრივად მოვალენი ვართ, მივბაძოთ წი-

ნაპართა კეთილ მხარეს და უარვყოთ სავსებით ის, რაც ხალხისათვის მავნებელი იყო წინადაც.

ქართველებს ბევრი ტანჯვა-ვაება უნახავს, ბევრი ცრემლიც დაუღვრია, მაგრამ სასოწარკვეთილებამდი კი არ მისულა ..

რა არის ამისი მიზეზი?

მიზეზი შემდეგია: გულის სიღრმეში ყოველი ქართველი გრძნობს, რომ ღვაწლნი მამა-პაპათა არ გაჰქრებიან და გარდაცვლილი „შთენნი“ კვლავ აღსდგებიან, რასაკვირველია, სულ ახალ პირობებში და სხვა ფორმით...

რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ;

რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით...

მეცნიერებამ დიდი ხანია დაგვიმტკიცა, რომ ამ ქვეყნად არაფერი არ იკარგება, მხოლოდ იცვლება. ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა...

თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, დავრწმუნდებით, რომ საჭირო ყოფილა ჩვენი წინაპართა ცხოვრების შესწავლა. მათი დიდებული აჩრდილნი გაგვამხნევენ ბრძოლაში სულიერად დაცემულ ქართველებს, შეგვაყვარებენ იმ ედემის მზგავს ტურფა ქვეყანას, რომლის გულისათვის დიდძალი სხვერპლი შესწირა ჩვენმა მამა-პაპამ... მათი ძლიერი სული იმას ჩამოგვძახებს იღუმალ, რომ ყოვლად ძლიერი ღმერთი, რომელიც თვით ქეშმარიტების და სამართლიანობის გამომხატველია, ჩვენ მოგვფენს თავის სიუხვეს, თავის გამათბობელ სხივებს..

ქართველთა რწმენით, ღმერთი უყურადღებოთ და უნუგეშოთ არ დასტოვებს რაინდ კეთილშობილ ხალხს...

ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ქართველთა წინაპრებს, ისე როგორც ჩვენ, ღრმათ სწამდათ ხალხის კეთილი მომავალი, სწამდათ ის, რომ ქრისტეს ჯვარისათვის წა-

მებული ერი, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში ქვეყნის თავისუფლების დამცველი იყო, ისევ გამრავლდებოდა და სულიერად განახლდებოდა.

ჩვენ არაოდეს არ უნდა დაგვეკარგოს ის იმედი, რომ პატარა საქართველო, რომელმაც დაბადა მრავალი დიდსულოვანი გმირი, კვლავ აღსდგება და თავის კეთილმეზობლებთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწევს.

აი სწორედ ამ იმედით ცოცხლობდა ჩვენს ძველი თაობაც, რომლის ერთ უკეთესს წარმომადგენლათ შეგვიძლიან დავასახელოთ აწ განსვენებული სულმნათი მგოსანი აკაკი... აკაკი მუდამ ამხნევებდა ახალგაზდობას და უღვიძებდა ხალხს ამ წარმატებისადმი იმედსა.

სიბერის დროსაც კი მგოსანი, გატაცებული მამულისადმი სიყვარულით, სწერდა შემდეგსა:

„არა! აყვავდეს იმედი!..
 გულს ვერ გამიტეხს ჭალარა!..
 გმირებს დაეძებს, უყივას
 ჩემი დაფი და ნალარა“..

ერთი იმ გმირთაგანი, რომელსაც დაეძებდა მგოსნის დაფა და ნალარა არის მათა წყნეთელი, მათე ყაჩაღად წოდებული. ამ არა-ჩვეულებრივი ქალის დიდებულმა აჩრდილმა, ჩემის აზრით, უნდა გამოიწვიოს მკითხველთა შორის წრფელი თანაგრძნობა და სიყვარული.

მკითხველო! თუ ჩემი მიზანი ოდნავ მაინც გამართლდება, მაშინ მე ამ შრომას უნაყოფოდ არ ჩავთვლი.

ა. ზ.



წყაროები.

**მასალა, რომლით მმ მსარგებლობდი,
შემდგომია:**

1. ხალხური ლექსები—ზოგი დაბეჭდილი, ზოგიც ჩემ მიერ შეკრებილი ქართლის სხვა და სხვა კუთხეში...

2. ის ჟორიული სურათები—მღ. დიმ. ჯანაშვილისა.

ამ თხზულებაში ავტორს, სხვათა შორის მოთავსებული აქვს ცნობები იმ გლეხ ქართველ ქალების შესახებ, რომელნიც მოქმედობდნენ მე 18 საუკუნეში. ეს ცნობები დამყარებულია „თვით—მნახველ და მომსწრე პირთაგან დატოვებულ მოთხრობებზე“.

XIV

3. ბატონყმობა საქართველოში—ალ
ხახანაშვილისა.

4. ვახტანგ მეფის კანონები და სხვა.



გმირი ქალი მანა, მათე
უახლად წოდებული.

გმირი ძალი, მათე შაჩალათ წოდებ- ბული.

(მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან).

ვუძღვნი ჩემ ძვირფას დედას.

მათე—მაიას კირიმე!
იყავ ფალავან-გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდილმდე დიდი კირია...
(ხალხური ლექსი).

წარმოიდგინეთ თვალწინ ლამაზი და საუცხოვო ტანადობის ყმაწვილი გლეხ-კაცი. მის სუფთა პირისახეზე ჯერ არა სჩანს წვერ-ულვაში. ეს ოცი წლის ჰაბუკი თავით ფეხამდი შეიარაღებულია. სოფლიდან მოსული თფილისში, იგი სდგას სასახლის წინ იმ მიზნით, რომ ინახულოს მეფე ერეკლე. ამ გლეხის ყოველ მიხვრამოხვრას რაღაც არა-ჩვეულებრივი მღელვარება ეტყობა. ცხადია, მას დიდი საქმე აქვს მეფესთან.

ნეტა ვინ არის ეს ახალგაზდა მხედარი? ან რა მიზნით მოსულა იგი მეფე ერეკლესთან?..

ეს ოცი წლის მხედარი, მამაკაცურად ჩაცმული და შეიარაღებული, ქართველი ქალია სოფელ წყნეთიდან. მისი სახელია მაია. ერთ დროს მაია—წყნეთელი ქართლ-კახეთში იყო ცნობილი მათე ყაჩაღის სახელით.

თავის დროზე ამ სახელ-განთქმულმა დიაცმა მეტად აღელვებული ცხოვრება გაატარა და ბევრი, ენით აუწერელი, უბედურება გამოიარა; მაგრამ იმ ტანჯვა-ვაებაში, რომელიც მუხთალმა ბედმა ამ ქალს არგუნა, ვერ დასძლია მისი ძლიერი სული, ვერ მიიყვანა იგი სასოწარ-კვეთილებამდე. პირიქით, ამ უბედურებამ მისი ხასიათი უფრო გაამაგრა, გააკაჟა.

მაია წყნეთელი ანუ თბილელი (ქართლში ასე უძახდნენ) შეიარაღდა გასაოცარი მოთმინებით; მან დაივიწყა პირადი ინტერესები და სიკვდილამდი ემსახურებოდა მხოლოდ ხალხს: მოძმეთა ბედნიე-

რება, მათი დაცვა შინაურ და გარეშე მტრებისაგან გახდა მაიას ალთქმით ოცნებათ.

სულით მაღალმა და ფიზიკურათ ძლიერმა ქართველმა ქალმა თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრი საგმირო სექმენი ჩაიდინა. ხალხის ხსოვნაში მაია იხატება, როგორც მაგარი ხასიათის ადამიანი, მოყვარე თავის მიწისა და საბრალო გლეხთა მანუგეშებელი.

აი როგორი ალტაცებით იგონებს ხალხი ამ არა-ჩვეულებრივ დიაცსა:

„მათე—მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან გმირია,
უზნეო ბატონებისა

სიკვდიდმდე დიდი ჭირია“!..

მართლაც, მაია წყნეთელი თავის საარაკო გამბედაობით, იშვიათი ფიზიკური ღონით და მახვილი გონებით, არ დაუვარდებოდა არც ერთ იმ დროინდელ ქართველ მამაკაცს. მაიას შესახებ დარჩა ხალხში რამოდენიმე საგულისხმო ლექსი, რომელიც ნათელსა ჰუენს მის დიად პ-როვნებას.

ამ „ფალავან-გმირი“ ქალის ცხოვრების დაწერილებითი შესწავლას, ჩემის აზრით, ორნაირი ინტერესი აქვს: ერთი მხრით — ისტორიული, ესე იგი, დამახასიათებელი შავ-ბნელ წარსულთა დროთა; მეორე მხრით — პსიხოლოგიური: დიდ-ბუნებოვან ქალთა არსებობა ქართველ გლეხობაში მაჩვენებელი იყო მისი, რომ ტანჯულ ხალხში კიდევ ყოფილა ძლიერი ძალები, რომ არ გამქრალა მასში გმირული სული, არ გატეხილა რაინდული გული...

მაშ თუ ასეა, შევისწავლოთ მაიას ვინაობა; ჩაუკვირდეთ იმ ქართველი ქალის თავგადასავალს, რომელიც ბუნებამ ასე უხვად დააჯილდოვა იშვიათი თვისებებით.

ერთ ხალხურ ლექსში ასეა აწერილი ამ „ფალავან-გმირი“ დიაცის ცხოვრება:

„ქართლიდამ გამოვეპარე
 ბატონს პატარა ქალიო,
 თან წამოვიღე საგძლათა
 შიში და ცრემლის ღვარიო;
 ხრიალეთის ხევ ღნარებში

შევინახევი თავიო.

მერმე ომხითში წაველი,

შიშისგან ვიხსენ თავიო.

იქ ერეკლე ამობრძანდა

შევკადრე სიტყვა აიო:

ბატონო მეფევ! რად მიყავ,

რად მიყავ ესე ავიო?

ომი მოგვიხდა თათრებთან,

სულ გასწყდნენ წყნეთელებიო,

ალარა დარჩნენ გმირები,

ატირდნენ კლდე და მთებიო.

მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოქეს,

სპარსეთში ვიხსენ თავიო,

მაგრამ ერევნის ბოლოსა

დავკარგე თავი ვაიო...

ამ პატარა ლექსში, როგორც ხედავთ, მოკლედ არის აღნუსხვილი მაიას თავგადასავალი.

ახლა მე ვეცდები უფრო დაწვრილებით აგიწეროთ ამ ქალის ცხოვრება; ვეცდები სხვა და სხვა ხალხური ლექსებისა გავაშუქო მისი პიროვნება; გარდა ამისა, მე ვისარგებლებ „თვით“ — მნახველ და მო-

მსწრე პირთაგან დატოვებულ მოთხრობითაც...“...

II.

მაია დაიჭადა სოფელ წყნეთში, თბილისის ახლო, მე-18 საუკუნის მეორე მოცე წლებში. მისი მამა იყო საბატონო წყნეთელი გლეხ-კაცი, დედა კი მცხეთელი ქალია.

ყმაწვილობისას მაია მსახურობდა თავის ბატონის სახლში. ის პატარაობითვე ძალიან ლამაზი ყოფილა. ასაკში რო მოვიდა, მისმა სილამაზემ და საუცხოვო ტანადობამ ბევრს მოხიბლა თვალები. გავიდა რამოდენიმე ხანი და თვით ბატონმა მიაყენა მაიას შეურაცყოფა...

ნამუს ახდელი ქალიშვილის ამბავი მალე გაიგეს მისმა მშობლებმა და ჯავრით დაიხოცნენ. ამბობენ, რომ მამის სულიერი ტანჯვა იქამდი მივიდა, რომ მან ტყეში ჩამოიხრჩო თავიო, დედა კი სიმშინლისაგან მომკვდარა... ასე მოულოდნელათ გარყვნილი ბატონის საქციელის გამო მოისპო გლეხის პატიოსანი ოჯახი.

აი როგორ გადმოგვცემს ხალხური ლექსი ამ სამწუხარო ამბავსა:

„ადრე მოუკვდა მას დედა
სოფელ მცხეთაში გაზდილი,
მამამაც თავი მოიკლა,
ვერ აიტანა ქაღილი...
უპატრონოთა გდებული
კამეჩიც მოკვდა ბეხია,
გდია ყვავ-ყორნის საქმელად,
გაუშვერია ფეხია. .

დარჩა საბრალო მათა ობლად, სრულიად უპატრონო. პირველ ხნობით თავზარდაცემულმა გოგომ არ იცოდა, რა ექნა. ის უსაზღვროდ იტანჯებოდა და თვალ-ცრემლიანი მწარედ დასტიროდა ბედს. მათა არსაიღამ არ მოელოდა არც ნუგეშს, არც დახმარებას. მიუხედავად ასეთ აუტანელ მდგომარეობისა, სულით ძლიერი ახალგაზდა ქალი სასოწარკვეთილებას არ მიეცა; ბევრი ფიქრის შემდეგ ადგა და ბოროტ ბატონს სამუდამოთ მოშორდა. გაიპარა ფარულად სოფელ წყნეთში. იქ ჩაიკვა მამის ტანისამოსი,

შემოირტყა ხმალ-ხანჯალი, ხელში აიოთ თოფი.

შეიარაღებულმა მაიამ სწრაფი ნაბიჯით გასწია თბილისისაკენ იმ მიზნით, რომ ენახა პირადათ მეფე ერეკლე. მას უნდა ეჩივლა თავის ბატონზე, რომელმაც შელახა მისი ქალწულობა და ამით აუწერელი უბედურება მიაყენა უდანაშაულო ოჯახს...

თფილისში როგორც იყო მაიამ ინახულა მეფე ერეკლე, მაგრამ ლაპარაკის დროს თავის შეურაცყოფაზე კრინტიც არ დაუძრავს. კაცურად ჩაცმულმა მაიამ, რაღაც შთაგონების ძალით, არ მოინდომა თავის ვინაობის გამოაშკარავება. ის იმ წუთებში ძალიან დელაიდდა. პირველად სახელ-განთქმულ მეფის დანახვაზე ენადება, მაგრამ ბოლოს ღონე მოიკრიბა და გაბედულათ მოახსენა ქართლ-კახეთის მზძანებელს შემდეგი:

— მე ვარ ერთი საბრალო ობოლი; არც მშობლები მყავს, არც ბატონი. გიახელით, მეფევ, თქვენს წინაშე იმ მიზ-

ნით, რომ ყმად ამიყვანოთ... მინდა ერთ-
გულად გემსახუროთ, მინდა თქვენის
ბრძანებით დავიცვა ქვრივ-ოხერ, ობოლ-
ქალია. ჩემი სახელი—მათე...

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ხელოვნუ-
რად და მარტივად არის აწერილი მეფის
და მათის შეხვედრა—საუბარი:

„შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცივა ვაჟკაცურადა,
თოფ—იარაღი აისხა

იქცევა მამაცურადა.

პატარა კახსა ეახლა,

რა კარგი სანახავია!..

ხირიმი* შეატრიალა,

დაბლა დაუკრა თავია...

— ვინა ხარ, ძეო, საიდან,

რომელი გვარის კაცია?

ჰკითხა ბატონმა... რა იცის,

რომ ქალსა კაცურ აცვია.

— მათე ვარ, შენი ჭირიმე!..

მოვდივარ შორის შორადა.

*) ხირიმი—თოფი.

ჯავრი მჭირს ავკაცებისა
 ცეცხლი მწვავს ერთი-ორადა.
 მინდა, რომ გეყმო ერთგულად,
 წელზე ვატარო ხმალია,
 შენის ბრძანებით დავიცვა
 ქვრივ-ოხერ, ობოლ-ქალია.
 ნეფესა მოეწონების
 სიტყვა — პასუხი მათესი,
 თავის მახლობლად დანიშნა
 გმირი სიკეთის დამთესი“.

მართლაც, პირველ დანახვაზევე ისე
 მოსწონებია მეფე ერეკლეს ახალგაზდა
 და სიცოცხლით სავსე მათე — მაია, რომ
 მას დიდი სიამოვნებით მიუღია იგი თა-
 ვის რჩეულ რაზმში.

აი, ამ დროიდან დაწყებული კაბუკმა
 მხედარმა იჩინა თავი და მალეც მოიხვეჭა
 ქართლ-კახეთში გმირის სახელი.

პირველ ბრძოლაშივე ლეკებთან ოცი
 წლის ქალმა, კაცურად ჩაცმულმა, მთელ
 ქართველ ჯარს და მის სარდლებს ნათ-
 ლად დაუმტკიცა თავისი არა-ჩვეულებრი-
 ვი სიმამაცე და სიმარდე. მეფე ერეკლე,

რომელიც ამ ბრძოლაში ცხარე მონაწილეობას იღებდა, აღტაცებული იყო მათეს მოქმედებით. გამარჯვების შემდეგ იგი სიამოვნებით გადაეხვია მათეს, ორთავე ლამაზ თვალებში აკოცა და თან მხიარულად შესძახა: „შენ კი გენაცვალე, ჩემო მათე!.. კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია!..“

ლეკებზე გამარჯვება იყო მხოლოდ დასაწყისი მათეს სამხედრო მოღვაწეობისა. მას კიდევ ბევრჯელ მიუღია მონაწილეობა სხვა და სხვა ბრძოლაში და უომნია თავის დავიწყებამდი. მაგრამ უფრო აღსანიშნავია მათეს ვაჟეკაცობა, მისი ნამდვილი ფალავან-გმირობა, რომელიც მან გამოიჩინა სოლანლულის ახლო თათრებთან ბრძოლაში...

სომხითს რო თათარი დაეცა, მეფემ სწრაფლ გაგზავნა მოწინავე რაზმი, რომელიც შესდგებოდა „რჩეული“ ბიჭებისაგან. მათ რიცხვში ერთი პირველი ალაგი ეჭირა ჩვენ ცნობილ მათეს...

ეს მოწინავე რაზმი შეხვდა თათარს სო-

ღანღულის ახლო და სასტიკი იერიში მიიტანა მტერზე. ბრძოლა რო გახურდა, მათემ მიბაძა პატარა-კახის“ ჩვეულებას: იგი ხმალ ამოღებული ქორივით შეეარდა მოწინააღმდეგის შუა გუნდში და ერთი ძლიერი ხმლის დაკვრით თავი გააგდებითათრების ბელადს...

უსარდლოთ დარჩენილი მტრის რაზმი ისე შეშინდა, რომ გაქცევაც კი ვერ მოახერხა. მტერი სამარცხვინოთ დამარცხდა. ბრძოლის ველი მათი ლეშებით აივსო. ბევრი ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს. ექვი არ არის, რომ ასეთი სწრაფი გამარჯვება მოხდა უშიშარი მათეს წყალობით..

გამარჯვების შემდეგ ჩვენი მხედრობა დიდის სიხარულით დაბრუნდა თბილისში. ჯარის უფროსმა მაშინვე მოახსენა მეფეს ახალგაზდა მეომარის გასაოცარი გამბედაობის და სიმარდის შესახებ. ამის გაგონებაზე ერეკლე აუწერელ აღტაცებაში მოვიდა, მის წრფელ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

დაინახა თუ არა გმირი მათე, მან მა-
ლალი ხმით მთელი ჯარის წინაშე ასეთი
სიტყვებით მიმართა მას: „სახელოვანო ჯა-
პუკო!. დღეიდან შენ მე ნამდვილ შევი-
ლად მიმაჩნინხარ.. ისე სვინდიხეირად და
თავგამეტებით შეასრულე მამულაშვილუ-
რი მოვალეობა, რომ ამაზე მეტი აღარ
შეიძლება ადამიანმა მოგთხოვოს.. ნებას
გაძლევ დღეიდან აღარ მიწოდო მეფე,
არამედ—მამა!“..

ამის შემდეგ მეფე ერეკლემ ძალიან
დაიხლოვა ნიჭიერი მათე და იშვიათი
ნდობით ეპყრობოდა მას. ხალხური ლექ-
სის თქმის არ იყოს „ნეფესა მიეწონების
სიტყვა-პასუხი მათესი, თავის მახლობ-
ლად დანიშნა გმირი, სიკეთის დამთესი“.

ქვეანმა მათემაც ისარგებლა მეფის ასე-
თი თანაგრძნობით და შეელოდა მას,
რითაც კი შეეძლო. განსაკუთრებით მან
ყურადღება მიაქცია შინაურ მტრებს და
დაუზოგველათ სდევნიდა ყოველგვარ სი-
ბოროტეს და უსამართლობას...

ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ

მე-18 საუკუნეში ჩვენ ქვეყანას აოხრებდნენ არა მარტო გარეშე მტრები; თვით საქართველოშივე იყო ბევრი ბოროტი და თვითნება ბატონი, რომელიც მღაბიო ხალხს სტანჯავდა და სულს ართმევდა. თავისი უდიერი მოპყრობით ასეთმა ვაჟ-ბატონებმა სულ გააღატაკეს და მიწასთან გაასწორეს ზოგიერთი სოფელი.

შემდეგი მაგალითი ახასიათებს მათეს, როგორც ბეჩავგლებთან ინტერესების დამცველს.

რამოდენიმე უზნეო ბატონს სპარსელებისთვის მიეყიდნათ თორმეტი გოგო-ბიჭი. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა გლებობა. ბევრი იჯავრეს ტანჯულმა მშობლებმა, ბევრი იცეს თავში და ბოლოს გადაწყვიტეს, მოეხსენებინათ, სადაც ჯერ არს, თავიანთი ბატონების ბოროტ-მოქმედება. გაგზავნეს თბილისში ერთი გამოცდილი მოხუცი კაცი; მას რამოდენიმე სხვა გლეხიც გაჰყვა. ამათ უნდა პირის-პირ ენახათ მეფე ერეკლე და საჩივარი მიერთვათ. სასახლის წინ შემთხვევით მათ შეხვდათ

შეიარაღებული ახალგაზდა მხედარი. ეს იყო მათე—მაია. მან გამოჰკითხა მოხუც გლეხს ქალაქში ჩამოსვლის მიზეზი. მოხუცმა დაწვრილებით ყველაფერი უამბო. მათე საშინლად აღელდა, როცა ეს გულსაკლავი ამბავი მოისმინა. მან მაშინვე მოიხმო თავისი ამხანაგები და გადასცა მათ მოხუცი გლეხის ნაამბობი. მაშინვე სწრაფად შეკაზმეს ცხენები, შეიარაღდნენ და მათეს წინამძღოლობით გამოუდგნენ სპარსელებს. სოფელ ლილოს ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, მათ შემოესმათ ბავშვების გულსაკლავი ბღავილი.. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გამოაქანეს ცხენები.. მალე დაეწივნენ სპარსელებს და სულ ერთიანად ამოხოცეს.. ჩვენთვის ადვილი გასაკებია, თუ რა გრძნობებს განიცდიდენ იმ დროს ტყვეობისაგან განთავისუფლებულნი ბავშვები: სიხარულისაგან არ იცოდნენ, რა ექნათ.!

ეს თორმეტი გოგო-ბიჭი მათემ მოიყვანა მეფის სასახლის კარზე. ჯერ თითონ

წარსდგა ერეკლის წინაშე და აღელვებულ
ლი ხმით მოახსენა შემდეგი:

— ბატონო მეფევ!. ნება მიბოძეთ რამ-
დენიმე საჩივარი მოგახსენოთ.. ნეტავი
როდის დადგება ის ნეტარი დრო, როცა
გლებებს შეაშრებათ თვალზე ცრემლები?..
ნეტავი როდის გადმოხედავს მათ მალა-
ლი ღმერთი და იხსნის ტანჯვა-ვაებისა
გან?...

— შეილო, რაზე ამბობ მაგას?..—ჰკი-
თხა მეფე ერეკლემ მათეს.

— რალა რაზე, შენი კირიმე!—გაბე-
დულათ უპასუხა მან,—ზოგიერთი ბატო-
ნების წყალობით გლებობა განადგურდა,
სრულიად გაწყალდა. ბედკრულ გლებ-
თა კირ-ვარამს საზღვარი არა აქვს.. ბო-
როტმა პირებმა ააოხრეს სოფელი.. ბევ-
რმა მთელი სოფლის გლებობა დაყიდა
სხვა და სხვა ქვეყნებში. ვინც გადარჩა,
იმათ სული ამოართვეს განუწყვეტილი
ბუშობით.. ამას წინათ, შენი კირიმე,
ერთი დედაკაცი შეებათ კალოში და იმ
უბედურმა უღელშივე სული დალია..

სამწუხაროა, დიდებულო მეფევე, ასეთი ამბები. თქვენ მოვალე ხართ მოსპოთ ბატონების ბოროტება, უნდა სწრაფლ მოუღოთ ბოლო იმათ ავკაცობას და უკანონობას...

ამის პასუხად მეფე გრეკლემ უთხრა თავის ერთგულ ყმა მათეს შემდეგი:

—ბატონებზე საჩივარი ბევრი ისმის... მათი საქციელი, თუ კი ყველა ეს მართალი გამოდგა, ქვეყნის დამღუპველია; მხოლოდ ეს მე მესმის **სიტყვით, საქმით კა ვერას ვხედავ...** როგორ დავსაჯო ისინი, თუ ჩვენის თვალით ამას არ ვნახავთ...

ბატონო მეფევე! — ცრემლ-მორეულმა წამოიძახა მათემ: აი პირველი მე გახლავარ ამ ავკაცობის სხვერპლი, მე, თქვენი მორჩილი მონა მათე, ობოლი და ბედისაგან დაჩაგრული გლეხი... მეორე მაგალითი, შენი ჭარიმე, გუშინ მოხდა: თქვენთან გიქნლათ ~~სოფლიდან ერთი მოხუცი~~ გლეხკაცი... ~~მასთან ერთად იყვნენ სხვებიც.~~ მათგ თქვენი ნახვა უნდოდან, რომ

საჩივარი მოეხსენებიათ იმ ბატონებზე, რომელთაც სპარსელებისათვის გლეხის გოგო-ბიჭები მიეყიდნათ... ეს ამბავი მოხუცმა მე გადმომცა მთელი სოფლის დავალებით. მე ის გლეხები თქვენამდი არ მოუშვი... მაშინვე ამხანაგების დახმარებით დავეწიე იმ ურჯულოებს ლილოს ახლო და წავართვი საბრალო ბავშვები... აჰა! ბატონო მეფევე, ამათაც ახლავე წარმოვადგენ თქვენს წინაშე...

გათავა თუ არა ეს სიტყვები, მათე შურდულივით გამოვარდა სასახლიდან და მალე შემოიყვანა თორმეტი თვალ-ცრემლიანი გოგო-ბიჭი.

აი ესეც—უთხრა მან მეფე ერეკლეს, **ჩემი სიტყვების დამტკიცება.**

ამ სურათმა საშინლათ ააღელვა მეფე; მან არ იცოდა, რა ეთქვა პასუხად მათესათვის. ამ ამბის მთხრობელთა სიტყვით, მეორე დღესვე მეფემ მოიწვია სასახლეში მღვდელ-მთავრები; ჯვართ და სახარებით სამღვდელოებამ შეაჩვენა ბოროტი ბატონების საქციელიო... და ამისთა-

ნა საჩივარი კიდევ ბევრი მოსვლია მეფეს მათეს წყალობითაო... მეფე ერეკლესა მუდამ აშფოთებული უსმენდა გამბედავ და გულწრფელ მათეს, მაგრამ საქმით კი ვერას შველოდა...

ნეტა რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი?.. ნუ თუ მეფე ერეკლეს არ სურდა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესება?.. ან იქნება, მას მოაკლდა ძალა და ენერგია, რომ საქმით ვერას შველოდა და მხოლოდ ცარიელი კეთილი სატყვიით თანაგრძნობას უცხადებდა მათეს სამართლიან საჩივრებს?..

არა, ამ არა—სასურველ მოვლენის მიზეზი უფრო ღრმა არის... ჩვენ რომ ჩავუკვირდეთ მათა წყნეთელის თავგადასავალს, ადვილათ დავრწმუნდებით, რომ მთელი მისი მღელვარე ცხოვრება ცოცხალი პროტესტია იმ უვარგისი წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში დამყარდა მე-18 საუკუნის განმავლობაში... ეს იყო ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სხეული სა-

გრძნობლად შეირყა, ერი ეკონომიურათ დაეცა და ამავე დროს მეფის უფლებაც დიდი მაჰულების პატრონთა ანუ ფეოდალთა მეოხებით სრულიად დასუსტდა; დიახ, უფლებობა ცენტრალური ორგანოსი დამცირდა, ესე იგი ქვიცნის უმაღლეს მმართველობას მოაკლდა ძალა კანონების სისრულეში მოყვანისა; ამის გამო ხალხში გავრცელდა ძალ-მომრეობა, თვითნებობა და ყოველგვარი უკანონობა. ჩვენდა სამწუხაროდ, განშეორდა ის არა-ნორმალური ძველი ხანა, როცა ადამიანის ბედ-იღბალი წყდებოდა მუშტის საშუალებათ. ძლიერი იმ დროს ყველაფერში ზარათალი იყო, სუსტი-კი — დამნაშავე... საქმე იქამდი მივიდა, რომ მეფე ვახტანგ VI-ის ჰუმანიური, კეთილშობილური კანონები ცარიელ სიტყვათ გადაიქცა...

ეს იყო ის დრო, როცა ჩვენში ბატონყმობა თანდათანობით სასტიკ და ულმობელ ხასიათს იღებდა. ამ დროს გლეხნაცის ცხოვრება, განსაკუთრებით კა დე.

დაკაცისა, ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. გლეხის ქალებს მზითვად აძლევდენ, ერთი ერთმანეთს ბატონები საჩუქრად უგზავნიდნენ; ბევრი ისეთი შემთხვევა ყოფილა, როცა ახალგაზდა ქალიშვილებს ცვლიდნენ თოფზე, ცხენზე და წარმოიდგინეთ— ხიზილალაზედაც... ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმ დროინდელი ქართველი საზოგადოების გონებით და ზნეობით დაცემას...

მეფე ვახტანგ კანონმდებელი სულ იმას სცდილობდა, რომ ყმისათვის პიროვნული უფლება მაინც მიენიჭებინა და მოახლეთ წასვლა ყმის ნებაზე დაეყენებია და არა ბატონის სურვილზე... სამწუხაროდ, ამ მეფის ცდამ არავითარი ნაყოფი არ მოუტანა მდაბიო ხალხს. სამართლიანმა კანონმა ფესვი ვერ მოიკიდა ჩვენში. პირიქით უკანონობამ და ძალმომრეობამ უფრო და უფრო იმატა და ზოგიერთი ბატონის თავგასულობას საზღვარი აღარ ჰქონდა.

ამგვარათ თვით ცხოვრებამ გვერდი

აუქცია ვახტანგის კანონს და ამ გარემოებაში ცუდი შედეგი მოუტანა საბატონო გლეხებს. წინააღმდეგ კანონისა ცხოვრების პრაქტიკამ დიდი უფლება და ძალა მისცა ბატონს თავის ყმაზედ. ბატონმა ისარგებლა მისთვის ხელსაყრელი შემთხვევით და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩვენი ქვეყნის გამგეთა მოთხოვნილებას. . ზოგიერთმა ძღვევა-მოსილმა ბატონმა საკუთარი უფლებები ძალიან გააფართოვა, გააზვიადა. იგი გამეფდა არა მარტო ყმის ქონებასა და შრომაზე, არამედ თვით მის პირადობაზედაც. აქედან ცხადია, რომ სამართლის წიგნი, მეფე ვახტანგის მიერ დამტკიცებული, ქალაქდზე დარჩა, იგი ცხოვრებაში არ განხორციელდა... პრაქტიკა სულ სხვას უკარნახევდა ხალხს... კანონი ერთს ამბობდა, ცხოვრება — სხვას; მათ შუა იყო დიდი ზღვარი... რასაც იმ დროს ზოგიერთი ვაჟბატონი სჩადიოდა, ამის უფლება ვახტანგის სამართლის მიხედვით, ნება არ ჰქონდა. კანონების მაგიერ დამ-

ყარდა სხვადასხვა ჩვეულება. აი სწორედ ამ ჩვეულებებმა ბატონებს მიანიჭა ის, რასაც უარყოფდა ვახტანგის კანონი. ამ გვართ კანონისა და ცხოვრების შორის თავისთავად გასწყდა შემაკავშირებელი ძაფი.

ეს სამწუხარო მოვლენა უნდა აიხსნას არა კანონების სისუსტით და უვარგისობით არამედ იმ დროინდელი ცხოვრების საზოგადო პირობებით, უფრო კი მეფური უფლების დაცემით.

თვით ვახტანგი ამას გრძნობდა; მისი აზრით ყოველ შემთხვევისათვის ჯეროვანი ახსნა და განმარტება მეტად ძნელი იყო იმ დროისთვის; სხვათა შორის, კანონების კრებულის წინასიტყვაობაში იგი სწერდა შემდეგს: „არ ვიჩემებ, რომ ჩემ სამართლის წიგნს არა აკლდეს რა. ბევრი ისეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწვდება კაცის გონება. ვინც მიხვდეს რასმე, მოიგონოს, ჩაუროთოს და ჩასწეროს... კარგსა და მართალსა იქს“...

ვახტანგის მისწრაფება მეტად ღრმა და სავართლიანია. იგი თხოულობდა, რომ მის მომავალ—თაობას შეევესოს ახალი და „კარგი კანონები“. საუბედუროთ, ცხოვრებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მეფეს ხმა დარჩა ხმად მაღალადებლისა უდაბნოსა შინა. მისი უკეთესი კანონები პრაქტიკამ ძირიანად უარყო, განსაკუთრებით კი მეტად შელახა და შეურცხყო გლეხის პიროვნება.

როგორც წინედ შევნიშნე, ასეთი გარემოების ძირითადი მიზეზი ცენტრალური ორგანოს უფლებათა დასუსტებაა. მეფეს აღარ ჰქონდა ძალა, რომ ბატონთა მოქმედებაზე სასტიკი კანტროლი მოეხდინა. ამიტომაც აღვირ-აშვებულს ბატონს არამც თუ ძალათ მიყავდა მოახლედ ყმის ცოლი და მისი ქალიშვილები, არამედ ძალასაც კი ხმარობდა დედაკაცის ნამუსზე, მის წმინდა ღირსებაზე.

ამავე დროს ქართველი გლეხი ქალის ზნეობითი სიმტკიცე იქამდის მიდიოდა, რომ მსუნაგ და ჟინით გაჟღენთილ ბა-

ტონებს არა ნებდებოდენ; თავის ქალური ღირსების დასაცველად ზოგი თავს მოიკლავდა ხოლმე, როგორც, მაგალითად, ჩაილინა მრეკელის ქალმა, რომელიც მესამე სართულიდამ გადმოვარდა, როცა შეიტყო თავად თაქთიშვილის ბილწი განძრახვა; ამ უკანასკნელმა გოგო შეიტყუა ოთახში იმ მიზნით, რომ მისთვის აეხადა ნამუსი; ზოგი კი, უფრო გამბედავი და ღონით სავსე ქალი, თვით ბატონს კლავდა შეურაცხყოფისათვის... ასე მოიქცა, მაგალითად, თინა წავეკისელი; მან ღამით ლოგინშივე ღორივით ჩაკლა თვისი ბატონი გაბაშვილი, რომელმაც იგი გააუპატიურა...

აი, ასეთ აუტანელ პირობებში ცხოვრობდა იმ დროს მდაბიო წოდების ქართველი ქალი. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი, დაჯილდოვებული ბუნებისაგან გმირული სულით და საზოგადოებრივი ინსტიქტით, ივიწყებდა თავის პირად დამცირებას და შეურაცხყოფას, ყურადღებას არ აქცევდა თავის პიროვნების

შელახვას და გამოდიოდა საზოგადო სარბიელზე, როგორც ქვეყნის დამცველი და ყოველგვარი უკანონობის წინააღმდეგ მებრძოლი... ასეთია პსიხოლოგია დიდ ბუნებოვანი ადამიანისა, ქალისაც და კაცისაც... მართლაც, მთელი თავისი არსებით ეს გმირი ქალები გრძნობდენ, რომ ბედკრული მათი სამშობლო დიდ განსაცდელშია, დაღუპვის გზისაკენ მიისწრაფვის და საჭიროა ამ დროს არა პირადი ვისიმე შურისძიება, არამედ ბრძოლა, შველა და დახმარება. ვისაც კი როგორ შეეძლო...

ამ გმირ ქართველ ქალთა ჯგუფში უდიდესი ალაგი, ჩემის აზრით, უჭირავს მათა წყნეთელს ანუ თბილელს, რომელსაც ჩვენ უფრო ვიცნობთ მათე ყაჩაღის სახელით.

IV

როცა მამაკაცურად ჩაცმული მათა გარეშე მტრებზე იმარჯვებდა, მაშინ მთელმა ქართველობამ, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, იგი აღიარა გმირად და მის სახელს ყველა მოწიწებით და დიდის

პატივისცემით იხსენიებდა. როცა კი ამ უშიშარმა „ფალავან-გმირმა“ დიაცმა იერიში მიიტანა შინაურ მტრებზე და გამოაშკარავა ზოგიერთი ვაჟბატონის უსამართლობა და უზნეობა, მაშინ სურათი გამოიცვალა. აღელდნენ ეს მამულიშვილები და გადასწყვიტეს შური იძიონ მათეზე: ან უნდა მოეკლათ მათე ან არა და სრულიად გაეძევებიათ სასახლიდამ; სადაც მას იშვიათი ნდობით ეპყრობოდა თვით სახელ განთქმული მეფე ერეკლე. ბოროტმა პირებმა მალე მიაღწიეს თავის მიზანს. ისარგებლეს შემთხვევით და მათეს უკან დაედევნენ მოსაკლავად, მაგრამ ვერას გახუცნენ. პირიქით ღონიერმა და უშიშარმა მათემ ერთის გარდა ყველანი მოკლა. ამ გადარჩენილს მან ზიზღით უთხრა: „შე ოხერ-ტიალო და შეჩვენებულო! ნეტა ვიცოდე, ჩემი სიკვდილით თქვენ რას მოიგებდითო?“ ამ გაიძვერა ბატონმა თავი იმართლა და ასე უპასუხა ცბიერებით: „კაცო, კარგად გა-

იგე, რომ ჩვენ კი არა, თვით მეფე ერეკლეს ნებავე შენი სიკვდილიო!..

ამ გაიძვერა კაცის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათეზე. ამ ახალმა ამბავმა ღრმად ჩააფიქრა იგი. დაუჯერა უზნეო კაცისაგან მოტანილ ქორებს, ექვი შეიტანა მეფეზე და სასახლეში დაბრუნება ველარ გაბედა. დარჩა საწყალი მათე ისევ უპატრონოდ, უნუგეშოდ. მისი ერთადერთი მფარველი, ღმერთის გარდა, იყო მეფე ერეკლე და ესეც მას გადაუდგა ბატონების მეოხებით. როცა ღრმად ჩაუფიქრდა ამ გარემოებას, მათემ დაარწმუნა თავისი თავი, რომ დღეის შემდეგ მის სიტყვას მკეთას წინაშე არავითარი გავლენა აღარ ექნება... ასეთი დაბოლოება საქმისა არც იყო იმ დროს მოულოდნელი და გასაკვირალი.

თავზარ დაცემული მათე საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.. ბოლოს გონს რომ მოვიდა, გადასწყვიტა წასულიყო შორს, რომ თავი სადმე შეეფარებინა.. ენერ-

გიით სავსე მათეს ჯერ კიდევ სწყურდა
სიცოცხლე!

„უზნეო პირთა ენამა, ამბობს ხალხურ
რი ლექსი“.

არ მოასვენა მათა

და მოაშორეს ნეფესა

გლახაკთ მოსარჩლე დაია.

მათე მათა დევნილმა

ტყისკენ გასწია მალულად

და ყაჩაღობა დაიწყო

ხან ცხადლივ, ხანაც ფარულად...

ღიახ, ბევრი ფიქრის შემდეგ, მათა წა-
ვიდა თრიალეთში და თავის უნებურად
მოჰკიდა ყაჩაღობას ხელი. აქ იგი რამო-
დენიმე ხანს დარჩა: ემალეობდა პირად
მტერს, უფრო კი ეშინოდა თვით მეფე
ერეკლესი.

„თრიალეთის ხევ-ღნარებში შეინახა
თავიო, ამბობს თანაგრძნობით ხალხი დევ-
ნილ მათაზე; იმ ალაგას, სადაც იგი მტრებს
ემალეობდა, ადგილობრივმა მცხოვრებ-
ლებმა დაარქვეს „მათას საბუღარი“..

ასე უცნაულად დატრიალდა გმირი ქა-

ლის ბედის ჩარხი. მოულოდნელმა გარემოებამ აიძულა კეთილი და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი უკანონო გზაზე დამდგარიყო. ყაჩაღობაშიც მათე-მაიამ ისეთივე გამბედაობა გამოიჩინა, როგორც წინად მტრებთან ბრძოლაში. ბევრ ბოროტ კაცს მან ბოლო მოუღო და სიცოცხლეს გამოასალმა. ლარიბ-ხალხს კი ის არას ერჩოდა, პირიქით დახმარებას უჩენდა; მიუხედავად ამისა, უშიშარი მათე ყაჩაღის სახელი დიდ შიშს იწვევდა მთელ ქართლ-კახეთში. ამის გამო მისი პირადი მტრები კიდევ შეერთდნენ და ხელახლად განიძრახეს თავისი მოწინააღმდეგის მოკვლა. ჯაშუშების შემწეობით მათ მიაგნეს მათე-ყაჩაღის ბინას და დაიწყეს სასტიკი დევნა..

გაიგო თუ არა ეს ამბავი, მათემ სრულებით თავი დაანება ყაჩაღობას და გადასახლდა სომხეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში... აქ მაია დარჩა იმ დრომდე, სანამ ხანში შევიდოდა; იგი ცხოვრობდა თავის შრომით, მოსვენებით

ატარებდა დროს. მისი ვინაობა არავინ იცოდა.

აი, სწორედ ამ დროს საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ საშიში მათა ყაჩაღი მოკლესო... ეს ხმა, როგორც ვიცით, ახლა, უსათუძვლო გამოდგა.

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი. განგებამ კიდევ მისცა მაიას შემთხვევა ენახა პირის-პირ მეფე ერეკლე და მოეხსენებინა მისთვის ის გულის სევდა, რომელიც უდანაშაულო დედაკაცს ძალიან აწუხებდა და აშფოთებდა.

ერთხელ მეფე ერეკლე თავის ამალით შემთხვევით ეწვია იმ მიყრუებულ სოფელს, სადაც მათა ცხოვრობდა მამაკაცის სახელით.

სოფლელებს ძალიან იამათ სახელგანთქმული მეფის მობძანება. დიდის ამბით მიეგებენ მას. შემდეგ როცა ერეკლემ წასვლა დააპირა, მთელმა გლეხობამ ღრმა სიყვარულის ნიშნად მოისურვა მისი გაცილება სოფლიდამ. ხალხს გაჰყვა შეიარაღებული მათეც.

*

მეფემ ამ ბრბოში ვერ იცნო თავისი ერთგული ყმა. რაინდი მათე-მაია ამ დროს უკვე ხანში შესული იყო და სახის მეტყველებაც გამოსცვლოდა.

გზაში სრულიად მოულოდნელათ ერეკლეს დახვდენ მტრები. გმირმა მათემ კიდევ იჩინა თავი. ჯერ გაისროლა თოფი, რომელიც მუდამ გატენილი ჰქონდა და შემდეგ ხმალ და ხმალ მიესია მტრებს. ამ გაბედულობით წაქეზებული სხვებიც მიეშველნენ მათეს და მტრის გუნდი ძალიან მალე გაფანტ-გამოფანტეს, ბევრიც დახოცეს...

ამგვარად მათეს წყალობით მეფე ერეკლე განთავისუფლდა მოულოდნელ განსაცდელისაგან...

ამ უცნობი გლეხკაცის გმირობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე და მის ამაღაზედ. გატაცებული უსაზღვრო სიხარულით ერეკლემ მაშინვე მოიხმო თავისი მხსნელი და მადლობის გადახდის უმაღლესი კითხვა: „ძმობილო, ვინა ხარ შენ ეგეთი გმირიო?“

მაშინ გულდამწვარმა მათემ ერთი ღრმად ამოიოხრა და ნალვლიანი ხმით ასე უპასუხა ერეკლეს: „მე გახლავარ მეფისაგან დევნილი მათე... თქვენ, დიდებულო, მოსაკლავად დამდევდით და აი ახლა თქვენს ხელთა ვარ. გნებაეთ, მომკალით, გნებაეთ, სიცოცხლე მაჩუქეთ და ცოცხალი დამარჩინეთ. დიდიხანია მინდოდა მენახეთ თქვენ პირის-პირ; ვეძებდი შემთხვევას, და აი ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და მომცა საშუალება მეთქვა თქვენთვის ჩემი გულის პასუხი...

ბატონო მეფევ!.. ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ **ყაჩაღობაში მე არა ვარ დამნაშავე**. მე პირადი მტრები დავხოცე და ამით თავი გადავირჩინე სიკვდილისაგან. აბა, დიდებულო, ამის შემდეგ როგორღა მოვსულიყავი თქვენთან. დიახ, თრიალეთში აქამდით რომ კაცები იცარცვებოდნენ, ეს ჩემი ბრალია. ის ყაჩაღი სწორედ მე ვიყავი.. ამასთანავე გიცხადებ, ბატონო მეფევ, რომ **მე დედაკაცი ვარ** და არა მამაკაცი,

სახელი ჩემი მაია, გლეხის შვილი ვარ სოფელ წყნეთიდან..

ამ ამბის გაგონებამ მეტად გააკვირა მეფე ერეკლე. იგი გაოცებული დიდხანს სდუმდა და სევდით შეპყრობილი უყურებდა იშვიათ მეომარს და თავის მახლობელ ერთგულ მათეს... იქ დამსწრე დიდკაცობას გაახსენდა ამ გმირი დედაკაცის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მოწიწებით უმზერდა მას. მეფემაც დაათვას მათეს გასაოცარი რაინდობა, მისი ერთგულობა და აპატია ყოველი დანაშაული.. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია ამ სახელოვან ქართველ ქალს.

სპარსელები დასცემიან საქართველოს; ომში გაწვრთნილი მაია მაშინვე გამზადებულია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს მას ეცვა ქალური ტანისამოსი; იმ დღიდან, როცა მაია წყნეთელმა საჯაროთ მეფის წინაშე თავისი ვინაობა გამოაშკარავა, მან აღარ მოისურვა მამაკაცური ტანისამოსით სიარული.

სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში ბედ-

მა უმტყუნა მაიას და იგი ტყვედ ჩაუარდა მტრებს. მაია წაიყვანეს სპარსეთში, მაგრამ გზიდან გამოიპარა და ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა საქართველოსაკენ...

სამწუხაროდ, სამშობლოსათვის წამებულმა მაიამ სახლამდი ვერ მიაღწია და იგი ხანჯლით სასიკვდილოთ დასჭრეს სპარსელებმა ერევნის ახლოს...

უპატრონოდ დარჩენილმა მაიამ მალე დალია სული უცხო მხარეში.

ერთი ხალხური ლექსი ასე გადმოგცემს მაიას უკანასკნელ დღეს:

„შარაზედ იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მომმეთა ნახვას ნატრობდა
თბილელი გმირი მაია...“

ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ მანდილი...

ასე ტრადიკულად გაათავა თავის მღელვარებით სავსე ცხოვრება ამ არა-ჩვეულებრივმა ქართველმა გლეხის ქალმა...

V.

მეტად საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ როდის მოხდა ეს ამბავი? ან რომელ ომში მიიღო უკანასკნელად მონაწილეობა მაიამ?..

ჩვენ გვაქვს საშუალება აღვადგინოთ გმირი მაიას უკანასკნელი დღენი იმ ლექსების შემწეობით, რომელიც ქართველ ხალხში დარჩა.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში სწერია შემდეგი:

„დაკოდილი ყაენის დროს
ამბავი ესე მომხდარა—
სპარსი დაეცა ქართველსა,
დაჰკრა ბუკი და ნაღარა.
ქალაქ ერეენის ახლოსა
მაია დაატყვევესა,
არ დაუფასეს გმირობა
სპარსეთში გააგზავნესა...“

აქედან ცხადათ სჩანს, რომ მაია წყნეთელს უბრძოლია იმ სპარსელ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც გამოიგზავნა საქარ-

თველოში „დაკოდლი“ ყენის ბძანებით.

ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ყენი?..

რამდენათ მე-18 საუკუნის სპარსეთის ისტორია გადმოგვცემს, „დაკოდლი ყენი“ უნდა იყოს ის საშინელი და სასტიკი ბძანებელი სპარსეთისა, რომელმაც 1795 წელს, 11 ენკენისთვის, ააოხრა და მიწასთან გაასწორა საქართველოს დედა ქალაქი თბილისი.

ეს დაკოდლი ყენი, ექვს გარეშეა, არის ალა-მაჰმად ხანი.

მართლაც, იგი ყმაწვილობაშივე გაასაქურისეს ნადირ-შაჰის დროს.

ამ გარემოებამ არა-სასურველი გავლენა იქონია, როგორც ალა-მაჰმად ხანის სულიერ ვითარებაზე, ისე მის გარეგნობაზედაც... გაუბედურებულ ყმაწვილი კაცის გულში დაიბუდა ბოროტებამ და შურისძიებამ...

ეს გრძნობები წლითი-წლობით ვითარდებოდნენ და ბოლოს მიიღეს კაცობრიობისადმი მძულვარების ხასიათი.

გარეგნობით ალა-მაჰმად ხანი იყო ხმელ-ხმელი, დაბალი ტანის და დამჭკნარი სახის კაცი. მისი ღრმად ჩაცვენილი და სისხლ-მორეული თვალები საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებდენ ადამიანზე. ამ თვალებში, როგორც სარკეში, იხატებოდა მტარვალობა, დესპოტობა... მართლაც, ალა-მაჰმად-ხანმა არ იცოდა არც კაცთ-მოყვარეობა, არც ვისიმე შებრალება. „დაკოდლილი“ ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა ნადირ-შაჰის სასახლეში და ჯავრს იმით ყრილობდა, რომ ძვირფას ხალიჩებს და ხალებს თავისი ბასრი დანით სჭრიდა ჩუმად. ამ დროს მას მეტი შურის ძიების გადახდა არ შეეძლო...

მიუხედავად ასეთი თვისებისა და საშინელი გარეგნობისა, ალა-მაჰმად ხანი იყო მეტად ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი; ჰქონდა მას მაგარი და შეუდრეკელი ხასიათი.

აი სწორედ ეს ყაენი შეიქმნა ქართველების მოსისხლე მტრად.

ავიდა თუ არაო სამეფო ტახტზე, ალა-მაჰმად-ხანს მაშინვე გაახსენდა, რომ სა-

ქართველომ აღიარა რუსეთის მფარველობა და სპარსეთთან შესწყვიტა ყოველივე კავშირი.

იგი ამ გარემოებას ვერ შეურიგდა და განიზრახა დაებრუნებინა საქართველო. ამ ქვეყანას შაჰი სთვლიდა სპარსეთის სამეფოს ერთ-ერთ ნაწილად... მისი აზრით, საჭირო იყო ქართველების დასჯა, როგორც სპარსელთ მოღალატეებისა... ვიდრე დიდ მხედრობას შეაგროვებდა და ამ ძალით საქართველოს გაანადგურებდა, მან ჯერ გამოგზავნა ჩვენი დასაშინებლად თავისი მოწინავე რაზმი, ავანგარდი. ამ ჯარს უნდა აეღო ქალაქი ერევანი. ეს ქალაქი საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მეფე ერეკლეს ხარკს აძლევდა.

ალა-მამად ხანის განკარგულებით, სპარსელებს ეს ქალაქი უნდა ქართველებისათვის წაერთმიათ...

მეფე ერეკლე არ შეუშინდა შაჰის მუქარას და მაგრად დაუხვდა მას. მან მაშინვე გაგზავნა კარგად მომზადებული მხედ-

რობა; გარდა ამისა მეფეს რუსეთის იმედიც ჰქონდა.

ერევნის ახლოს ქართველები შეხვდნენ სპარსელებს.. მოხდა აქ საშინელი სისხლისღვრა. ორივე მხარე მედგრად შეებრძოლა ერთი-ერთმანეთს... ბრძოლამ დიდხანს გასტანა და ბოლოს გათავდა ქართველი ჯარის გამარჯვებით. მტერი დამარცხდა და ერევანს თავი დაანება.

ამ დროს, როგორც სჩანს ხალხური ლექსებიდან, გმირი მაიაც, უკვე ხანში შესული, აქ ყოფილა. ბრძოლის ველზე მან ჩვეულებრივად გამოიჩინა თავისი სიმარდე და მამაცობა... მტრები პირდაპირ გააკვირვა... სპარსელების სარდლებმა გასცეს ბძანება, რომ ეს გულადი დედაკაცი როგორმე ცოცხლად დაეჭირათ... ასეც მოხდა. გამარჯვებით გატაცებული მაია მოშორდა კარგ დიდ მანძილზე ქართველ ჯარს და მოულოდნელათ ტყვეთ ჩაუვარდა მტერს... მაშინვე თოკებით მაგრათ შებოჭეს მეომარი დედაკაცი და სპარსეთს გაგზავნეს... ამ გარემოებამ ძალიან შეა-

წუხა და შეაშფოთა მაია. მაგრამ მრავალი უბედურების მნახველი გმირი ქალი სასო-წარკვეთილებას არ მიეცა. გზა-გზა სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მტერს როგორმე გამოქცეოდა და სამშობლოში დაბრუნებულიყო... გამბედავმა მაიამ ეს ოცნება მალე სისრულეში მოიყვანა. მან ისარგებლა მოსწრებული შემთხვევით და, როგორც წინად ვთქვი, ტყვეობიდან გამოიპარა.

ხალხური ლექსი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

გულით მაგარი დიაცი
 არ შეუშინდა განსაცდელს,
 გზაში დახოცა მცველები
 და მიაღწია საწადელს...
 გახარებული გამორბის,
 ესწრაფვის მშობელ მხარესა,
 უნდა რომ მალე ეწვიოს
 თვის აღმზრდელ არე-მარესა.
 მაგრამ უმუხტლა საბრალოს
 ტიალმა წუთისოფელმა,
 ვერ მიაღწია სახლამდე

უბედურერების მნახველმა.
 გზაში მოუსწრო სიკვდილმა,
 ტანჯული სული დალია.
 მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
 მათი დამცველი მაია.
 ტრიალ მინდორზე ობლადა
 მაია ასაფლავია.
 ციღამ მის საფლავს ანათებს
 კაშკაშა მზისა სხივია...

VI

მაია წყნეთელის სიკვდილის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ მისი ხსენება ჩვენ ხალხში დიდხანს არ დავიწყებულა; განსაკუთრებით მაიას სახელს მოწიწებით იხსენიებდენ ქართლში.

აქ ერთ დროს ყოველ ღონიერ და ბუნებით მამაც ქალს შეამკობდენ ხოლმე მაია წყნეთელის სახელით.

— „შეხედეთ ერთი, იმ დალოცვილს, ნამდვილი მაია წყნეთელი არ არისო!“ ამბობდნენ ხოლმე ქართლები, როცა დაინახავდნენ ფიზიკურად ძლიერ და გამბედავს დედაკაცს.

ცხადია აქედან, რომ მაიას ისეთი დიდი ხსოვნა დაუტოვებია ხალხში, რომ მისი სახელი საზოგადო სახელად ქცეულა. **გამბედავი დიანცი და მაია წყნეთელი** შეიქმნენ სინონიმებათ, ესეიგი ერთი და იგივე მცნების გამომხატველ სიტყვებათ... რომ ეს ჩემი მოსაზრება სიმართლეს არ არის მოკლებული, ამის დასამტკიცებლათ მე მოვიყვან შემდეგ დამახასიათებელ მაგალითს: წარსული საუკუნის პირველ ნახევარში სოფელ ხიდისთავში, ქალაქ გორის ახლო, ცხოვრობდა აზნაური ლუკა სვიმონის ძე მელვინეთხუცესიშვილი; მას ცოლად ჰყოლია ფურცელაძის ქალი სოფიო, სოფელ მერეთში დაბადებული და გაზრდილი.

ამ ფურცელაძის ქალისათვის მზითვათ მიუციათ მოახლე გოგო დარეჯან მერეთილი. გარეგნობით დარეჯანი ნამდვილი ფალავანი ყოფილა და ამავე დროს მეტად გამბედავი და უშიშარი. კაბის ქვეშ მუდამ ხანჯალი დაჰქონდა. დარეჯან მერეთელმა კარგათ იცოდა სიმღერა, განსაკუთრებით

ურმული და მაყრული. თვით-მნახველთა გადმოცემით, როცა დარეჯანი სიმღერას დასძახებდა, გეგონებოდათ სამი ვაჟკაცი ერთად მღერისო, ისეთი ძლიერი და საამო ხმა ჰქონია... ბუნებით ნიჭიერ დედაკაცს ყოველგვარი სამსახური ეხერხებოდა: მამულის მოვლა, გუთნის დედობა, ცხენზე კენაობა, თოფის სროლა ხანჯლის ხმარება და ბევრი სხვა. ბავშვებიც ძალიან ჰყვარებია და მშვენივრად უვლიდა მათ... დარეჯანი არ გათხოვილა და მომკვდარა სოფელ ხიდისთავში ღრმათ მოხუცებული.

მისი ბატონები ლუკა და სოფიო მეღვინეთხუციშვილები ამაყობდნენ თავისი იშვიათი მოსამსახურით და ხშირად ამბობდნენ ხოლმე სიამოვნების კილოთი: „ჩვენი დარეჯანი ნამდვილი მაია წყნეთელიაო!“.“

ზემომოყვანილი საბუთის ძალით მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათე---მაია წყნეთელი ყოფილა ნამდვილი ისტორიუ-

ლი პიროვნება და არა ფანტაზიის მიერ შექმნილი გმირი დიაცი..

ეს გარემოება არცარის გასაკვირველი. მე-18 საუკუნეში, ყველას კარგათ მოგეხსენებათ, საქართველომ საშინელი ბედისწერითი წამები გამოსცადა. დიდ ზღვასებრ აღელვებულმა ცხოვრებამ დაბადა ქართველთა შორის ბევრი შესანიშნავი მებრძოლი, რომელიც ხალხის დასაცავად თავს არ ზოგავდა. ასეთი მოვლენა არ შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას ქართველი ერის ისტორიისა: საზოგადოთ ყოველი დიდი განსაცდელი და ბედისწერითი მდგომარეობა ქმნის ხოლმე თავგანწირულ გმირებს; ეს მსოფლიო მოვლენა არის.

ამისთანა სახიფათო დროს ხალხი მეტად აღელვებულია. ყვავ-ყორანი მას დასჩხავეს. საზარელი ხმით და უქადის მოსპობას...

ასეთ დროს ყველას ერთი-ორად ემატება ენერგია, ყველა ივიწყებს თავის ტანჯვა-ვაებას და მხოლოდ მომავალზე

ზრუნავს. ხალხი ცდილობს შთამამავლობას გადასცეს შეულახველად თავისი „წმინდათა წმინდა“. ქალიც და კაციც იარაღით ხელში გამოდის ბრძოლის ველზე, რათა შეინარჩუნოს თავისუფლება ერისა, ეს „მშვენება და სიმართლე ამა ქვეყნისა“..

ჩვენმა პატარა საქართველომაც, რომელიც მე-18 საუკუნეში უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, ბევრი გმირი დაბადა, როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთა შორის და მათა წყნეთელი, ეს „ფალავან-გმირი“ დიაცი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს.

მართალია, მის შესახებ არაფერი სწერია ოფიციალურ მემორიანეში, მაგრამ მადლიერმა ხალხმა არ დაივიწყა თავისი ღვიძლიშვილის ამაგი, მისი სამსახური მოძმეთა სასარგებლოდ და შემდეგი პაწია ლექსით შეამკო მათე-მაიას შარავანდედით მოსილი სახელი:

შენი ჭირიმე, მაია,
გლახთა ნუგეშის მცემელო,
მათე ყაჩაღად ცნობილო,

უსამართლობის მგმობელო!..
 მტერთა ტვინისა გამბნევი
 მუდამ გეჭირა ხმალია.
 შეხედე ჩაგრულ ქვეყანას .
 შენთვის სტირს მთა და ველია...
 ცხონებულ იყოს დიაცი
 მისსა ვიტყოდეთ ქებასა:
 ქალი გმირულად აღზრდილი
 სთესავს კეთილსა ძმობასა...

ალ. გარსევანიშვილი.

ქ. ქუთაისი.
